# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 22 ივლისი, 2010 წელი.

№136 (6502)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# სააკაშვილმა თავის თავს ხელისუფლობა მიუსაჯა






*პრეზიდენტის გეგმებს ხელს ვერავინ შეუშლის. „სააკაშვილი ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელიც სათავეში უდგას ძლიერ, კარგად ორგანიზებულ პარტიას, რომელსაც აქვს საფინანსო და ადმინისტრაციული რესურსები, ბიზნესისა და ელიტის მხარდაჭერა, – განაცხადა დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა დავით ავალიშვილმა. – იგი დარწმუნებულია, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ გაუჭირდება დააყენოს იქ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებული, შემდეგ კი გახადოს იგი პრემიერი“.* ③

## ეროვნულობის დაკარგვა ერის გადაშენების მომასწავებელია ③

## როდესაც დამცველი თავად ხდება დასაცავი ②



## სტრასბურგში წერონ და... ⑦

## ახალგაზრდას ყოფილ ფავორიტს 30-წლიანი „დასვენება“ ელის?

## ქობალიას სამინისტროში ნათესაური დანიშვნები არ იქნებაო ②

# ვითომ ამ გზით მივალთ ტაძრამდე?

*ორმეტრიან, მსხვილ დიქტატორს სხვადასხვა სახის დღესასწაულების დროს უყვარდა ფართო, ოთხსახელურიანი საკაცით დამსწრე საზოგადოების ჩამოვლა, უფრო ზუსტად, ჩამოტარება. საკაცეში შებმულ მადალჩინოსნებს ხელით მიჰყავდათ საკაცეზე წამომჯდარი დიქტატორი. საკაცეში შებმულთა შორის კი არც მეტი, არც ნაკლები, უგანდაში აკრედიტებული უცხო ქვეყნების, მათ შორის ევროპელი ელჩებიც იყვნენ. დიქტატორის მძიმე წონის მიუხედავად, მათი უპირველესი მიზანი იყო კმაყოფილების გამომხატველი პოზის მიღება.* ⑤

ნომრის კარიკატურა




– ბატონო მინისტრო, რატომ არ ვემზადებით გასაფრენად?
– ეგ საკითხი ჩემს მოადგილეს ეხება!

◎ კანონმდებლები

# საკონსტიტუციო ვნებათაღელვამ უკვე პარლამენტში გადაინაცვლა



## რას ველით და რას მივიღებთ ძირითადი კანონის შეცვლით?

**კონსტიტუციის ახალ მოდელთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა. პარლამენტში შევიდა კონსტიტუციის კანონის პროექტი, რომლის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის პარლამენტში კომისია უნდა შეიქმნას. განხილვის შემდეგ, 24 აგვისტოს კონსტიტუციას საზეიმოდ მიიღებენ.**

**კონსტიტუციის ახალი მოდელის შეფასება ვთხოვეთ პარლამენტარებს.**

**ჯონდი ბაღათურია, პარლამენტარი:** ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემაა ერთ საპრეზიდენტო ინსტიტუტში მთელი ძალაუფლების თავმოყრა.

საპრეზიდენტო ინსტიტუტის ლიდერს, ანუ პრეზიდენტს ერთპიროვნული ავტორიტარული მმართველობის განხორციელების საშუალება ჰქონდა და ამას ძალიან კარგად იყენებდა.

კონსტიტუციის ახალი პროექტის მიხედვით, ამ ძალაუფლების დასუსტების ხარჯზე, უნდა გაძლიერებულიყო პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი. სამი თანაბარი ძალაუფ-




ლების, სხვადასხვა ფუნქციის შტო კონსტიტუციას უნდა დაებალანსებინა, რათა მათ ურთიერთშეთანხმებულად ემუშავათ.

ახლა რა მოხდა? პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული დასუსტების ხარჯზე მთელი ძალაუფლება გადმოვიდა პრემიერის ინსტიტუტში, ანუ შესაბამისად იგივე მმართველობის განხორციელება პრემიერს შეუძლია. ავტორიტარული მმართველობა შენარჩუნებულია, ამას ვინ განახორციელებს – პრემიერი თუ ვინმე სხვა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა არის პერსპექტივა, რომ ის ისევ სააკაშვილმა მოიმოქმედოს.

ახალი მოდელით პარლამენტისა და თითოეული პარლამენტარის გავლენა კი არ გაიზარდა, დასუსტდა. არადა, საპარლამენტო ოპოზიციას მთავრობაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელების საშუალება უნდა ჰქონდეს.

რა ინსტრუმენტებით შეიძლება ეს? კონტროლის პალატის თავმჯდომარე და სახალხო დამცველი უნდა წარადგინოს და დანიშნოს საპარლამენტო ოპოზიციამ, ასევე, გენერალური პროკურორის კანდიდატურაც დაასახელოს.

თავისუფალი სასამართლო არ გვექნება მანამ, სანამ ექსპერიმენტს ვატარებთ მოსამართლეებზე. სასამართლო ინსტიტუტის მთავარი ფიგურა მოსამართლეა და მის გარანტიებზე უნდა ვიზრუნოთ. უვადო დანიშვნა მათ მუდმივ გარანტიებს მისცემს. აღარ არის საჭირო დროებითი სამწლიანი ექსპერიმენტული დანიშვნები. ეს სასამართლოების შეურაცხყოფაა.

ყველა ეს ფაქტორი ცხადყოფს, რომ კონსტიტუციის პროექტი მზად არ არის, ძალიან ბევრი საკითხი ზერელედ გავლილია, რამაც შეიძლება სახელმწიფოს კრიზისი გამოიწვიოს. ამიტომ მოცემული პროექტი ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის სწორ დემოკრატიულ განვითარებას.

**გიორგი თარგამაძე, ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი:** პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვ-



ნა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს და ეს ყველაფერი მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს კონსტიტუციური ნორმებით. ასევე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სერიოზული მსჯელობა კონსტიტუციის გადახედვის რეგლამენტთან დაკავშირებით.

იმის გამო, რომ კონსტიტუცია უნდა იყოს მაღალი საზოგადოებრივი კონსესუსის პროდუქტი, ჰქონდეს მაღალი ლეგიტიმაციის შინაარსი, შესაბამისად, მართებული იქნება, თუ კონსტიტუციის ახალ მოდელს მიიღებს მოქმედი პარლამენტი და ის ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ახლადარჩეული პარლამენტი დაამტკიცებს წინა პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს არის ჩვენი შენიშვნების ნაწილი. არის დეტალები, რომლებზეც ვიმსჯელებთ საკონსტიტუციო კომისიაში.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენელი:** ახალი კონსტიტუციის პროექტი თავისი კონცეფციით ძალზე მნიშვნელოვანია, ის ნამდვილად ემსახურება სახელისუფლებო შტოთა შორის ძალთა ბალანსის რეგულაციას. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პარლამენტს მიენიჭება განსაკუთრებული უფლება, თვითონ დააკომპლექტოს მთავრობა და მთავრობის მუშაობა გააკონტროლოს, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პრეზიდენტის უფლებები მნიშვნელოვნად მცირდება.

უნდა გამოვყო სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული სა-



კითხი. მწვავე დისკუსიების მიუხედავად, ჩვენი პოზიცია კომისიის წევრებმა მაინც არ გაიზიარეს. იგულისხმება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ანუ საბოლოო სასამართლო აქტების გასაჩივრების შესაძლებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მათი კონსტიტუციურობის თაობაზე.

ვფიქრობ, თუ არ მოხდა დროული რეაგირება, ეს მნიშვნელოვან ლაქად გაყვება ამ კონსტიტუციას.

**რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:** ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეჯერდა და შეთანხმდა.



ეს არის უდიდესი საერთო ძალისხმევის ნაყოფი. მოხარული ვარ, რომ მსჯელობამ პიკს მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმა სამოქალაქო საზოგადოებას აღელვებს.

ერთი თვე ზაფხულის პერიოდში სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად მოხდეს ამ კონსტიტუციის შესაძლო შედეგების განხილვა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კონსესუსი მიიღწეს.

ეს არის ისეთი მოდელი, რომელიც ევროპის მრავალ ქვეყანაში მიღებულია, და რადგანაც საქართველოსთვის ევროპული გზა ძალიან მნიშვნელოვანია, ამ კონსტიტუციის შეცვლით ალბათ ძალიან ბევრ დადებით შედეგს მივიღებთ.

ჩაიწერა
**ნატა ნიბლაძემ**

◎ კონტაქტები

# როდესაც დამცველი თავად ხდება დასაცავი

## გერმანიის ადვოკატთა პალატის დირექტორი ქართველ ადვოკატებს შეხვდა

**გერმანიის ფედერაციული ადვოკატთა პალატის დირექტორი ვოლფგანგ აიხელე და დოქტორი გერჰარდ დომბეკი საქართველოს ესტუმრნენ. შეხვედრა ქართველ ადვოკატებთან სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართა, იმსჯელეს – ადვოკატთა პროფესიულ განვითარებაზე, შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო სამართლებრივი ფონდი (IRZძ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა გერმანელ კოლეგებს გააცნო საქართველოს კანონი ადვოკატურის შესახებ, ასევე ადვოკატთა ასოციაციის ადგილი და როლი ახალი კანონის მიხედვით.

– საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნიდან ხუთი წლის განმავლობაში, – თქვა მან, – ეს არის ყველაზე მაღალი დონის ვიზიტი. საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის ადვოკატთა ხელმძღვანელობა, მათ შორის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ფინანსურად დაგვეხმარება ადვოკატთა წევრების განათლებაში. მნიშვნელოვანია ასოციაციის დამოუკიდებლობა და მუდმივი პროგრესირება. ამისათვის კი აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უნდა ავიდეს განვითარების ისეთ საფეხურზე, როგორც ეს არის ევროპის წამყვან სახელმწიფოებში.

ვიმსჯელეთ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ადვოკატთა დაკავება, ძალადობა, დევნა, ცილისწამება და არაადამიანური მოპყრობა. ადვოკატთა 4000-კაციანი კორპუსიდან ამჟამად დაკავებულია 200 კაცი, მათგან უმრავლესობა – გამოგონილი ფაქტებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გამოცდილი კოლეგების თანადგომა. თუ საქართველოში არ იქნება ძლიერი სამართლებრივი სისტემა, სრულფასოვან სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდებით.

**თინათინ ბორცვაძე**

◎ ინფორმაცია

### ქობალიას სამინისტროში ნათესაური დანიშვნები არ იქნება

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად რამდენიმე დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ვაკანსია გაჩნდა. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ამ თანამდებობებზე გამოცხადდება კონკურსი.**

– კონკურსს ვაცხადებთ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ადმინისტრაციის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტის საფოსტო კავშირის სამმართველოს უფროსის და პრივატიზების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ვაკანტურ ადგილებზე, – განაცხადა ქობალიამ.



მისივე თქმით, სამინისტრო წარმართავს პოლიტიკას ნულოვანი ნეპოტიზმით და დღეიდან სამინისტროში აღარ იქნება დანიშვნა ნათესაური კავშირებით.

– ვაკანტურ თანამდებობებზე მივესალმები მათ, ვისაც უნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რადგან ჩვენ გვაქვს ამოცანა, რომ გავაძლიეროთ ქვეყნის ეკონომიკა, ტურიზმი, მცირე ბიზნესი და მოვიზიდოთ დამატებითი ინვესტიციები, – განაცხადა ვერა ქობალიამ.

მინისტრის თქმით, სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაცია 1-ლი სექტემბრისთვის დასრულდება და სამინისტრო ახალი თანამშრომლებით შეუდგება მუშაობას.

### ახალი მინისტრი ბიზნესმენებს საყვედურობს

**ქართველმა ბიზნესმენებმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისგან საყვედური მიიღეს. როგორც ვერა ქობალიამ განმარტა, ის იმყოფებოდა ამერიკის მთავრობის ორგანიზებით მოწყობის სემინარზე, რითაც ამერიკული მხარე ქართულ კომპანიებს ამერიკის ბაზარზე შეღწევაში ეხმარება, თუმცა დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო.**

– მე დღეს ვიყავი სემინარზე, სადაც ნახევრად ცარიელი დარბაზი იყო და მაინტერესებს ჩვენი ქართველი ბიზნესმენებისთვის 9 საათი იყო ძალიან ადრე, თუ უბრალოდ, მათ ეს თემა არ აინტერესებდათ? თუ ასე ვიმუშავეთ, შედეგს ვერ მივაღწევთ. იმედი მაქვს, რომ სემინარი როდესაც ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება, დასწრება იქნება სრულფასოვანი და ქართველი ბიზნესმენებისთვის სამუშაო დღე 12 საათზე ადრე დაიწყება, – განაცხადა ვერა ქობალიამ.

შეგახსენებთ რომ ამერიკის მთავრობის ინიციატივით სემინარი 21-26 ივლისის ჩათვლით იმართება, რომლის პირველი ნაწილი გუშინ თბილისში გაიხსნა, ხოლო მომდევნო დღეებში სემინარი ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება, სადაც ქართველ ექსპორტიორ კომპანიებს ამერიკის ბაზრის სტანდარტებს გააცნობენ და ასწავლიან იმასაც, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქართული ბიზნესი ამერიკის ბაზარზე შესასვლელად.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 136. ხუთშაბათი, 22 ივლისი, 2010 წელი.

**თვალსაზრისი**

# ეროვნულობის დაკარგვა ერის გადაშენების მომასწავებელია

***გაზეთ „ქართული სიტყვის“ მიმდინარე წლის 7-13 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია სათაურით: „არ უნდა დავუშვათ ეროვნულობის დაკარგვა“, რომელშიაც გამოთქმული იყო დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ სრულიად აშკარად ვკარგავთ ეროვნულობას, ე.ი. ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნულ ტრადიციებს და სულ უფრო ნათლად წარმოჩინდება ერის გადაშენების, საყოველთაო გლობალიზაციის ოკეანეში დახრჩობის პერსპექტივა. მე ისიც კი გავახმიანე,რომ დროა, ამ პრობლემაზე დაფიქრდეს ხელისუფლებაც, საზოგადოებაც და დავსვი საკითხი ქართული ეროვნულობის შენარჩუნება-აღორძინებისთვის მზრუნველი თუ მებრძოლი საზოგადოების დაარსების შესახებ.***

სხვათა შორის, ამ ჩემს წერილს მოჰყვა საკმაოდ ცხოველი გამოხმაურება, მაგრამ უფრო პრივატული ხასიათისა: მირეკავდნენ ჩემი კოლეგები, ყოფილი მოწაფეები და რამდენიმე მანამდე უცნობი პირიც. უდიდესი უმეტესობა იზიარებდა ჩემს შეშფოთებას, მაგრამ ჩემს თხოვნაზე, გამოხმაურებოდნენ პრესაში ან ტელევიზიით ამ პრობლემას, უიმედოდ უპასუხებდნენ — „აზრი არა აქვს, ამ უბედურებას არაფერი ეშველება!“ ორიოდე ადამიანმა კი საერთოდ არ გაიზიარა ჩემი პოზიცია და ჩვენი ერის პერსპექტივას ხედავდა ე.წ. „ევროპეიზაციაში“. ასეთ ვითარებაში, მე გადავწყვიტე თვითონვე გამოვხმაურებოდი ჩემ მიერ დასმულ პრობლემას და კიდევ მეცადა ჩვენი საზოგადოების გააქტიურება და ამოძრავება.

საერთოდ ჩვენთან უაღრესად რთული ვითარება დამკვიდრდა, რაც შესაძლოა კანონზომიერი შედეგია იმ საერთოდ მკვეთრი ცვლილებებისა, რაც ჩვენმა ხალხმა გამოიარა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. ვაკვირდებოდი რა ჩვენს მიმდინარე პროცესებს, უნებურად გამახსენდა მრავალი წლის წინათ წაკითხული ნაწარმოები დიდი ფრანგი პოეტისა, პროზაიკოსისა და მოაზროვნის ვიქტორ ჰიუგოსი — „ოთხმოცდაცამეტი“ რომელშიაც მან აღწერა 1783 წლის საფრანგეთის რევოლუცია და ის მოვლენები, რომლებიც მოჰყვა ბურბონთა დინასტიის დამხობას, ბასტილიის აღებასა და დანგრევას... ახლაც გადავხედე ამ თხზულებას; ცხადია, მსგავსება ძალზე ზედაპირულია, იქ სულ სხვა მასშტაბებია, მაგრამ საყოველთაო ქაოსი, ყველაფერში არეულობა, გაუწონასწორებელი მოქმედებები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის არაადეკვატურობა და ა.შ. ეს კი პრინციპში, მსგავსია... ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პრესაში იწერება სულ ერთმანეთის გამომრიცხავი შეფასებები, ტელევიზიით ვისმენთ დიდი სიამაყით გაჟღერებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ჩვენში უმაღლესი დონის დემოკრატია დამკვიდრდა, **„თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია“**. ისეთი კვალიფიციური სპეციალისტები კი, როგორიც ვლადიმერ პაპავა და სოსო ცისკარიშვილია, იძლევიან მხოლოდ უარყოფით შეფასებებს, თან ჩვენც ვერ ვგრძნობთ ამ უკვე „ბევრ გაკეთებულს“... აი ამიტომაც მე აღარ ვცდილობ ყოველივე ამაში გარკვევას, მე დღეს უფრო ზოგადი და, ჩემი აზრით, ჩვენი ერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მაწუხებს და მაშფოთებს: ესაა ის, რითაც ჩემი წერილი დავიწყე — **ჩვენი ეროვნული ტრადიციების, ეროვნული შეგნების, ანუ ეროვნულობის დაკარგვა.**

ჩვენი ხალხის ეროვნული მუხტის, ეროვნული შეგნების შენახვა-განმტკიცებისთვის დღეს ჩვენში არაფერი არ კეთდება; უფრო უარესიც: მთელი რიგი ღონისძიებები სწორედ ამის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. სწორედ ამან ამაღებინა ამჯერად ხელში კალამი.

უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ გადაჭრით და ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ამ ხუთი წლის წინათ დაწყებული ე.წ. რეფორმა განათლებისა და მეცნიერების სფეროში დასრულდა სრული კრახით, ეროვნული მეცნიერების და განათლების დაკნინებით და ზოგიერთ სფეროში განადგურებითაც კი!

უკანასკნელ ხანებში მე დავინტერესდი მომავალი თაობის, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ ლიტერატურაში, ისტორიაში გათვითცნობიერების დონის გარკვევით. სადაც კი მეძლეოდა შესაძლებლობა, ვესაუბრებოდი ბავშვებს, ვეკითხებოდი, რა იცოდნენ ქართული მწერლობის, ქართველი ერის ისტორიის შესახებ და საზარელი სურათი წარმომიდგა. კი, ახალგაზრდებში უდავოდ შემხვდნენ ისეთები, რომელთაც იციან ყველაფერი ქართული, მაგრამ ესაა გამონაკლისები, ერთეულები, მასა კი ამ მხრივ სავალალო მდგომარეობას ავლენს. საკმაოდ ხშირად ვაწყდები ასეთ ვითარებას: ბავშვი შესანიშნავად ფლობს კომპიუტერს, ახდენს საოცარ, ჩემთვის პირადად მიუწვდომელ ოპერაციებს, კარგად იცის ინგლისური, ერკვევა ევროპაში, ამერიკაში დღეს მიმდინარე პროცესებში — ერთი სიტყვით, თითქოს ყოველმხრივ განათლებული ბავშვია, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა აქვს საქართველოზე, მისი ისტორიის უმთავრეს ფაქტებზე, ჩვენს მეცნიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, არ გაუგია ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების სახელებიც კი, აღარაფერს ვამბობ ქართული ლიტერატურის, მით უფრო შედარებით ახალი დროის მწერლების ნაწარმოებთა ცოდნაზე. მე არ ვიცი, ნუთუ მე ისეთი ჩამორჩენილი, ისეთი „გოიმი“ ვარ, რომ არ მესმის დღეს რა უნდა მოეთხოვებოდეს ჩვენი ერის მომავალ თაობას, მე აღარაფერს ვამბობ ეროვნულ ტრადიციებზე, ჩაცმულობის, საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის ელემენტარულ წესებზე.

აი დღეს საკმაოდ გულგრილად ხვდება ჩვენი საზოგადოება საქართველოს სამეცნიერო აკადემიის არსებით დემონტაჟს. დიახ, აკადემიამ დაკარგა ყოველგვარი ფუნქცია, ის გახდა მხოლოდ რაღაც საპატიო საკრებულო და სხვა არაფერი. აღარც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აკადემიის სისტემაში აღარ არის, ყველა ეს ინსტიტუტი შეუერთდა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს ან, უკეთეს შემთხვევაში, უშუალოდ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში რჩება.

როდესაც მე ამაზე პროტესტს ვაცხადებ, მეუბნებიან — **„ასეა მთელ ევროპაში“**. მე არ მაინტერესებს, რა როგორ არის სად! მე ვიცი ტრადიციულად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების თაოსნობითა და ძალისხმევით იქმნებოდა და წარმატებით ფუნქციონირებდა მსოფლიოში სამეცნიერო სკოლები — ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების, ენერგეტიკოსების, ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, მათემატიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, აღმოსავლეთმცოდნეების, ბიზანტინოლოგების და სხვათა სკოლები, და ეს კი არ იყო რაღაც ხელოვნური საკრებულო საპატიო წევრებისა, არამედ მოქმედ, პროდუქტიულ, საყოველთაოდ აღიარებულ სამეცნიერო სკოლებს წარმოადგენდა. ამას გარდა, წარმატებით ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პედაგოგიური და სხვა აკადემიები. და ეს სამეცნიერო სკოლები და ინსტიტუტები უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებული უმაღლეს სასწავლებლებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი კადრების აღზრდა-მომზადებაში, რითაც უზრუნველყოფდნენ უწყვეტ ნაკადს ამ სკოლების თაობათა მონაცვლეობისა და მათი მუდმივი შევსებისა, შესაბამისი მეცნიერული დარგების შეუფერხებელი განვითარებისა.

მე ზოგჯერ დამცინავი ნიშნისმოგებით მეუბნებიან: **„ეს იყო საბჭოური სისტემა და შენ საბჭოურ ინტელიგენციას ეკუთვნი და იმიტომ მოგწონს ის!“** ეს არის აბსოლუტური უმეცრება! ეს სისტემა საბჭოთა პერიოდში არ შექმნილა, იგი რუსული სისტემის გაგრძელება იყო, ხოლო რუსული თავის დროს, ჯერ კიდევ პეტრე I-ის ხანაში, ჩამოყალიბდა იმდროინდელი ევროპული განათლების სისტემის საფუძველზე. შემდეგ ევროპული სისტემა განვითარდა სხვა გზით, რუსული სხვა გზით, მაგრამ არავინ იცის — რომელი გზა იყო უკეთესი. ერთი კი ცხადია, რუსული განათლებისა და მეცნიერების სისტემა, პირველ რიგში პეტერბურგის სისტემა, არაფრით ჩამორჩებოდა ევროპულს და აქ პეტერბურგში მიიღეს სათანადო განათლება და გამოცდილება ჩვენმა დიდებულმა მეცნიერებმა, იგივე ივ.ჯავახიშვილმა, აკ.შანიძემ, დ.უზნაძემ, ივ.ბერიტაშვილმა და სხვათა, ვინც შემდეგ შექმნა ზემოდასახელებული სამეცნიერო სკოლები, ხოლო რომ ეს არ იყო საბჭოური სკოლები, დასტურდება თუნდაც იმით, რომ ამ სკოლათა უმეტესობამ განიცადა სერიოზული დევნა და შევიწროვება. მაგრამ ამ სკოლებმა და ინსტიტუტებმა გაუძლეს ამ დევნას, მოიგერიეს რეპრესიები, შეინარჩუნეს თავიანთი სახელი და ავტორიტეტი, დღეს კი მათ ბოლო მოუღეს! აქვე უნდა ხაზი გავუსვა ერთ რამეს — ჩვენი ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების, მათემატიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების და სხვათა სკოლები არ იყო ჩვეულებრივი, მთელ მსოფლიოს მოდებული სკოლები: ეს იყო ქართული ფსიქოლოგიური, ქართული მათემატიკური, ქართული ფიზიოლოგიური, ქართული ხელოვნებათმცოდნეობითი, ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლები და ასეთებად, სწორედ ქართულ მეცნიერულ სკოლებად იყვნენ ისინი ცნობილნი მსოფლიოში. აი აქ იყო დაბუდებული ეროვნულობა. ეს იყო ეროვნული ფესვები ჩვენი მეცნიერებისა, ჩვენი მომავალი თაობის ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნული მრწამსით აღზრდისა.

იხ. 4 გვ.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# მიხეილ სააკაშვილმა თავის თავს ხელისუფლობა მიუსაჯა

**საქართველოში შეიმუშავეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ქვეყანას საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო რესპუბლიკად გადააქცევს. ჩვენი ინფორმაციით, ახალი ძირითადი კანონი შეიძლება მიღებული იქნეს უკვე სექტემბერში, როდესაც პარლამენტი დაბრუნდება საზაფხულო არდადეგებიდან. ეს საშუალებას მისცემს მიხეილ სააკაშვილს, გადაჯდეს პრემიერის სავარძელში, შეინარჩუნოს ხელისუფლება საქართველოში 2013 წლის შემდეგაც, როდესაც იწურება მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა**

როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან მიხეილ მაჭავარიანმა განგვიმარტა, ახალი ძირითადი კანონი ძნელად რომ მიღებული იქნეს სექტემბერზე ადრე. მისი სიტყვებით, უახლოეს პერიოდში დაიწყება „დოკუმენტის საყოველთაო-სახალხო განხილვა საზოგადოებრიობის მონაწილეობით“, და მხოლოდ მას შემდეგ პროექტს შეიტანენ კენჭის საყრელად პარლამენტში, რომელიც სწორედ მაშინ დაბრუნდება საზაფხულო არდადეგებიდან. „გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს სექტემბერში პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ. დეპუტატებისთვის არ არის სავალდებულო, შეიკრიბონ ასეთ სიცხეში რიგგარეშე სესიაზე“, — დაადასტურა ავთანდილ დემეტრაშვილმაც. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პრობლემები აშკარად არ ექნება — პარლამენტში პარტიას 150-დან 131 ადგილი აქვს.




კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დროს სახელმწიფო კომისიამ უარყო რამდენიმე წინადადება, რომლებიც წამოაყენა ქართულმა ოპოზიციამ. მათგან მთავარი გახდა წინადადება — განმტკიცდეს კანონში დებულება, რომლის თანახმადაც ყოფილ პრეზიდენტებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, დაიკავონ პრემიერ-მინისტრის პოსტი. ოპოზიცია ასე ცდილობდა, დაეხურა მიხეილ სააკაშვილისთვის შესაძლებლობა, გახდეს ქვეყნის პრემიერი მისი მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ 2013 წელს. მაგრამ კომისიამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.



„ოპოზიციონერები წინასწარვე მიიჩნევენ, რომ წააგებენ პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნებს, ამიტომ სურთ, რომ მე ხელის ერთი მოსმით ავუკრძალო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პრემიერის კანდიდატად წამოაყენოს თავისი ლიდერი — მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ ეს ხომ სრული აბსურდია“, — განაცხადა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

ამ პირობებში, დარწმუნებული არიან ექსპერტები, პრეზიდენტის გეგმებს ხელს ვერავინ შეუშლის. „სააკაშვილი ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელიც სათავეში უდგას ძლიერ, კარგად ორგანიზებულ პარტიას, რომელსაც აქვს საფინანსო და ადმინისტრაციული რესურსები, ბიზნესისა და ელიტის მხარდაჭერა, — განაცხადა დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა დავით ავალიშვილმა. — იგი დარწმუნებულია, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ გაუჭირდება დააყენოს იქ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებული, შემდეგ კი გახადოს იგი პრემიერი“. ქართველ ლიდერს ჰყავს აშკარა კანდიდატიც მომავალი პრეზიდენტის პოსტზე — ეს არის თბილისის ამჟამინდელი მერი გიგი უგულავა, რომელიც მაისში ხელახლად აირჩიეს ამ პოსტზე საარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტის აქტიური მონაწილეობის წყალობით.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ემზადება გამოუცხადოს პრეზიდენტს ომი. რადიკალურმა ოპოზიციამ მოითხოვა პრეზიდენტისა და პარლამენტის გადადგომა და ქვეყანაში ვადამდელი არჩევნების ორგანიზაცია, რომელთა შემდეგაც შეიძლება მიღებული იქნეს ახალი კონსტიტუციაც. პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე გვპირდება, რომ არ მისცემს ბატონ სააკაშვილს შესაძლებლობას, „კონსტიტუცია თავის თავზე მოირგოს“. უფრო ზომიერი ოპოზიცია, მათ შორის თავისუფალი დემოკრატების პარტია საქართველოს გაეროში ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით, მოითხოვს პროექტის გამოტანას საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე. „ასეთი საკითხები უნდა გადაწყვიტოს მთელმა ხალხმა და არა ხალხთა ვიწრო წრემ“, — თქვა თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ. ბატონ ალასანიას მეორე თანამებრძოლმა ალექსანდრე პეტრიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ოპოზიციას დასავლეთის მხარდაჭერის იმედი აქვს: „ჩვენ წინასწარ ვგრძნობდით ხელისუფლების უზურპაციის მცდელობას მიხეილ სააკაშვილის მხრიდან კონსტიტუციის შეცვლის ფორმაში და საკითხი დავაყენეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის წინაშე“.

სხვათა შორის, ოპონენტების მოთხოვნას ბატონმა სააკაშვილმა ერთობ მკაცრად უპასუხა: „რამდენიც უნდა იხტუნაონ, ახალ კონსტიტუციას მაინც მიიღებს სწორედ მოქმედი პარლამენტი, — განაცხადა მან ორშაბათს. — წაგებული ოპოზიციის მოთხოვნა — ეს იგივეა, რომ ხელახლა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრების წაგების გამო. თუმცა ჩვენი ოპონენტები თავისი კლასით ბრაზილიელებს დიდად ჩამორჩებიან“.

**გიორგი დვალი**

Коммерсантъ

თვალსაზრისი

# ეროვნულობის დაკარგვა ერის გადაშენების მომასწავებელია

(მესამე გვერდიდან)

ჩვენი ეროვნულობა დღეს გადაგვარება-გაქრობის პირას დგას და ჩვენმა საზოგადოებამ უფრო ქმედითად უნდა გადადგას ნაბიჯები ამ შეუქცევადი საშიშროების დასაძლევად, ჩემ მიერ სტატიის დასაწყისშივე ნახსენები საკითხი, რომ აუცილებელია ჩვენთან ჩამოყალიბდეს ქართული ეროვნულობის შენარჩუნება-განვითარებისთვის მზრუნველი თუ მებრძოლი საზოგადოება, არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ასეთი ბრძოლა განხორციელდეს იმ ეროვნული კრების მიერ, რომლის შექმნის ინიციატორებადაც ამას წინათ გამოვიდა ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა მეტად ცნობილი ჯგუფი, ოღონდ „ეროვნულმა კრებამ“ თავისი მომავალი ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიზნად სწორედ ეს ეროვნულობის დაცვისთვის ბრძოლა უნდა დასახოს.

* * *

ამ თემასთან დაკავშირებით უნდა შევეხო კიდევ ზოგიერთ პრობლემას. ჩვენი საინფორმაციო საშუალებების გზით ვგებულობთ, რომ ხელისუფლება ძალისხმევის უაღრესი დაძაბვითა და საკმაოდ სოლიდური თანხების ხარჯვითაც ყოველმხრივ ცდილობს ჩვენში ისეთი ინფრასტრუქტურების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენთან ტურიზმის ძალიან მაღალ დონეზე განვითარებას, ცხადდება ჩვენი ეკონომიკური საფუძვლების გაძლიერების, დასაქმების, ინვესტიციების შემოდინების წყაროდ. ჯერ ერთი, მე თავისათვად არ მომწონს ჩემი ქვეყნის უცხოური ტურიზმის ასპარეზად გადაქცევა. საქართველოს ყოველთვის გააჩნდა საკუთარი რესურსები, რომ სხვა გზებითაც აემაღლებინა თავისი სახელმწიფოებრივი სტატუსი და არ გამხდარიყო საგარეო დამფინანსებელთა ხელის მაცქერალ პასიურ ძალად. მაგრამ შევხედოთ საკითხს სხვა მხრივ. რას ვახვედრებთ ან ვის ვახვედრებთ ჩვენ უცხოელ ტურისტებს საქართველოში? საქართველოს ბუნება, მთა-ველების სილამაზე ყოველთვის იყო და იქნება უცხოელებისთვის მიმზიდველი. მაგრამ წინათ მათ ვიხვედრებდით მასპინძელთა თავისებური, განსხვავებული ტრადიციების, კულტურის, ხელოვნების მატარებელ ჯგუფებს და ეს იყო მიმზიდველიც უცხოელებისთვის და ჩვენი ღირსების შენარჩუნების საფუძველიც. ამიტომ სწორედ ეს მეორე, ან უფრო პირველი, მხარე უნდა განვავითაროთ, ამაზე ვხარჯოთ თანხები და არაა საჭირო უზარმაზარი სასტუმროების, პლაჟების, საერთოდ ინფრასტრუქტურების შექმნა.

მეორე საკითხი, ამას წინათ მე სრულიად მოულოდნელად გადავაწყდი ასეთ ამბავს: ტელევიზიით მოვისმინე ასეთი რეკლამა: სოფლის მეურნეობის აკადემია ამზადებს საქართველოს რაიონების აგრონომებს. ძალიან გამიხარდა და მომეწონა: მამაჩემი აკადემიკოსი იულონ ლომოური ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო საქართველოში აგრონომიული მეცნიერებისა და მაშ, მისი დანერგილი ტრადიციები არ დაკარგულა! მაგრამ არაფერი შეგეშალოთ: სასოფლო-სამეურნეო აკადემია თურმე შეარჩევს სათანადო კანდიდატებს, რომლებიც გაიგზავნება ამერიკაში იქ მომზადების გასავლელად!! ამაზე დიდი იდიოტიზმი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა?! ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მიწა-წყლის მომვლელი და აქაურ მეურნეობათა ორგანიზატორი აგრონომები, ჩვენი ადგილობრივი ხორბლის, რქაწითელისა თუ ხვანჭკარის, ჩვენი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანაზე ზედამხედველნი ამერიკაში უნდა მომზადდნენ?! მაშ, წყალში გადაყრილა იულონ ლომოურის, სოლომონ ჩოლოყაშვილის, გიორგი რცხილაძის, ლეონიდ დეკაპრელევიჩის, ნიკო კეცხოველის და მათ მიერ გამოზრდილი შესანიშნავი სპეციალისტების მრავალწლიანი ღვაწლი! ისევ ამერიკა ან ისევ ევროპა! რატომ დავმცირდით ასე?!

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან, საბედნიეროდ, ზოგი რამ კეთდება ეროვნული კულტურისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს ისეთ მძიმე ვითარებაში და ისეთი საყოველთაო გულგრილობის ფონზე, რომ ხშირად ჩვენ ამის შესახებ არც კი ვიცით. კვლავ უნდა მივაქციო საზოგადოების ყურადღება ერთ უნიკალურ გამოცემას: ესაა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დოკუმენტირებული ფოტოსაარქივო კოლექციის მიკროაფილების რამდენიმე მონუმენტური ტომი, რომლებიც მოამზადა გ.ჩუბინიშვილის სახ.ქართული ხელოვნების, ძეგლთა დაცვის და კვლევის ეროვნულმა ცენტრმა, აქაური მეცნიერების ხელშეწყობით და გერმანიის ქალაქ ააჰენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დახმარებით ნუგზარ ანდღულაძემ და თამაზ დვალმა. ამ გამოცემის VIII ტომს, სადაც შესულია ტაო-კლარჯეთის ძეგლები (!), ესაჭიროება მატერიალური ხელშეწყობა და საერთოდ ხელისუფლებამ, რაღაც გამჭვირვალე ხიდების, ქალაქის იერსახის შეურაცხმყოფელი ფალოსისმაგვარი მემორიალების მშენებლობის ნაცვლად, უნდა დააფინანსოს ეს შეუდარებელი ეროვნული მნიშვნელობის გამოცემა (თუნდაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული), იზრუნოს იმაზე, რომ ეს გამოცემები მისაწვდომი გახდეს ჩვენი ფართო საზოგადოებისთვისაც და საერთაშორისო ბაზრისთვისაც. უდავოდ საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ ისეთ უმნიშვნელოვანეს, უდიდესი ტრადიციის მქონე დაწესებულებას, როგორიცაა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, სადაც ძალზე მძიმე პირობებში, უსახსრობისა და სრული უყურადღებობის პირობებში ღირსეული თანამშრომლები ზრდიან ჩვენ ახალგაზრდობას სწორედ ეროვნული შეგნებით.

ასეთი ობიექტების დასახელება კიდევ არაერთი შეიძლება, და თუ მათთვის ხელისუფლება ვერ იცლის, იქნებ სწორედ საზოგადოებამ, მისმა შეგნებულმა, ინტელექტუალურმა ნაწილმა, თვითონ ხალხმა აღიმაღლოს ხმა. ასე შემგუებლურად, ინდიფერენტულად ყოფნა აღარ შეიძლება. ისევ ხალხმა რაღაც ძალისხმევით უნდა მიაღწიოს ამ ეროვნული ამოცანების განხორციელებას, თორემ ჩვენს ერს აშკარა გადაშენება ემუქრება და მერე უკვე აღარ ექნება მნიშვნელობა აღარც ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას, აღარც სამუშაო ადგილებით ხალხის უზრუნველყოფას, აღარც პენსიებისა და ხელფასების მომატებას.

**ნოდარ ლომოური**

წარდგენა

**წინ „მოსაწვევი“ მიდევს, საიდანაც ერთი ამონარიდი უნდა შევთავაზო მკითხველს: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი აწყობენ თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ჯუმბერ ოდიშელის წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევების“ პრეზენტაციას“.**

# წიგნი, რომელიც ემატა თაროს...

ბარათი აკადემიის სხდომათა დარბაზში გვიხმობს, სადაც საპრეზენტაციო შეკრებას აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გახსნის. წიგნის შესახებ გვესაუბრება აკადემიის წევრი ზაზა ალექსიძე (აქვე სათქმელად, განსვენებული ავტორის მეგობარიძ. გამომსვლელები და მოგონებლები იქნებიან აკადემიკოსები მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, პროფესორები ნანა ხაზარაძე, მიხეილ სამსონაძე, ელენე მაჭავარიანი, ცისანა აბულაძე, გურამ გრიგოლია, ია გაჩეჩილაძე.

აი, ასეთი პატივი – აკადემიაში წიგნის წარდგენა – პროფესორ ჯუმბერ ოდიშელის სახელს ხვდა დამსახურებულად: განსვენებულის მკვლევარები ნიჭის, ინტელექტის, კალმის, გახსნილი ხასიათის, კაცურკაცობის, მხურვალე ქართველობის წყალობით.

... წინ თვით წიგნიც მიდევს და აგერ რამდენიმე დღეა, დროდადრო ვფურცლავ და ვეცნობი. სქელფორმატიანია, 590-გვერდიანი, ჩინებული პოლიგრაფიულობით გამომზირალი. შემდგენლები გახლავან ლამარა ეძგვერაძე-ოდიშელი, რეზო გოგია, რედაქტორი – ზაზა ალექსიძე, კომპიუტერული უზრუნველყოფა დიმიტრი შალუტაშვილს ეკუთვნის, დიზაინი – სოფიო კვანტალიანს.

ვფურცლავ და ვეცნობი-მეთქი, და ეგებ ზოგიერთი ჩემი შთაბეჭდილება მკითხველმაც გაიზიაროს. წიგნის საფურცლავად და გასაცნობად კი უკვე ანოტაცია და არაჩვეულებრივი სითბოთი დაწერილი რედაქტორის წინათქმა განგაწყობთ – „ჩემი მეგობარი ჯუმბერი“... ხელთა გვაქვს კრებული, შემდგარი ჯუმბერ ოდიშელის (1932-1998ძ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციისგან, მდიდრული და მრავალფეროვანი შინაარსით. ეს პუბლიკაციები – მეცნიერული და პუბლიცისტური სტატიები მრავალტანჯული საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკვანძო და საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ეხება. მასალები წლების სიგრძეზე გაწეული კოლოსალური გარჯით მოუძიებია და გამოსაცემად მოუმზადებია ბატონ ჯუმბერის მეუღლეს ლამარა ეძგვერაძე-ოდიშელს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს, რაც ჯუმბერ ოდიშელის მეცნიერული ნაღვაწის წარმოსაჩენად და ხსოვნის უკვდავსაყოფად გაკეთდა, როგორც მისი წლობით, ნაფიქრალ-ნააზრევი თუ ნაკალმევი, საგულისყურო იქნება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიის სპეციალისტთათვის, არამედ ამ ისტორიით დაინტერესებულთათვისაც, მით უფრო, რომ რამდენიმე შრომა პირველად ქვეყნდება.

წიგნის შინაარსი რომ მდიდრული და მრავალფეროვანია, ამაში სარჩევის გადახედვაც გვარწმუნებს. კრებული 4 განყოფილებისგან შედგება: „ისტორია“ (17 ნაკვეთითძ, „კრიტიკა“ (12 ნაკვეთითძ, „პუბლიცისტიკა“ (18ძ და „სილუეტები“ (8ძ.




პირველ განყოფილებაში („ისტორია“ძ შესული რამდენიმე შრომის დასახელებიდანაც ჩანს მათი მნიშვნელოვნება: „პომპეუსის ლაშქრობა კავკასიაში“, „დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის“, „ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან“, „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა“, „ტერმინი „იმერეთი“.

„კრიტიკის“ განყოფილებიდან დავასახელებთ ასეთ ნაკვეთებს: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა“ (უკვე სათაურითვე ჩვენს ხანას „მორგებული“ძ, „გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ბრძოლა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში (როგორ არ მომსვლოდა აქ ფიქრად, ვზრუნავთ თუ არა XXI საუკუნის საქართველოში გლეხობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე...ძ, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ ინტერპრეტაციისთვის“ (ავტორის მრავალმხრივი ინტერესი მშობლიურ ლიტერატურასაც ღრმად სწვდებოდაძ.

„პუბლიცისტიკის“ თავში ყურადღებას იპყრობს ნარკვევები „საქართველოს რუსეთთან შეერთების „ისტორიული მნიშვნელობა“ (ეს ნააზრევი გამორჩეულად საგულისხმო მეჩვენება რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი მწვავე ურთიერთობის ფონზეძ, „კრიზისული ვითარების შესახებ“ (ახლა, როცა კრიზისული ვითარება „თავსაყრელად“ გვაქვს, ნარკვევი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენსძ, „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ...“, „შენიშვნები ნაციონალიზმის შესახებ“ (ჩვენს „განაციონალიზებულ“ დროში ეს ნაკვეთიც ფრიად თანამედროვედ „ჟღერს“ძ.

„სილუეტები“-დან გამოვყოფდი წერილებს „მიხეილ თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, „საქმემან შენმან“ (საბჭოური ეპოქის „მეამბოხე“ ქართველ აკადემიკოსებზეძ, „ნოდარ ნაკაშიძის ხსოვნას“...

სხვათა შორის, როცა ვეცნობოდი სტატიას „სანიმუშო წიგნი ქართული სოფლის ისტორიაზე“, სადაც გარჩეულია ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომი „საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი“, გულისტკივილით გავიფიქრე, რომ პოსტსაბჭოთა თანამედროვე ქართულ სოფელს, მართლაც რომ დასანანად, აღარანაირი პროფილი აღარ შერჩა, ეს გაფიქრებაც ხომ იმის დასტურია, თუ როგორ ეხმიანება 12 წლის წინათ ცხოვრებიდან წასული მკვლევარისა და კალმოსნის სიტყვა ჩვენს სადარდებელ დროებას...

ცხოვრებიდან წასული ვახსენე და აქვე დავსძენ: როგორი ღირსეული და დასაფასებელიც არ უნდა იყოს გარდაცვლილი კაცი (ჯუმბერი კი სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათძ, მის სახელსა და ხსოვნას ცოცხლად დარჩენილ ახლობელთა შორის ერთგული მიმხედავი სჭირდება. ქალბატონი ლამარას მაგალითი ამგვარი მიხედვის, ხსოვნის ერთგული გუშაგობის ნამდვილ ნიმუშად წარმოჩნდა განსვენებული ქმრის ავტორობით შესანიშნავი კრებულის მომზადებითა და გამოქვეყნებით. ცოტა „ინტრიგული“ აზრიც კი ამეკვიატა, გავკადნიერდები და გავამჟღავნებ: ჯუმბერი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეგებ ამდენს თავად არც გარჯილიყო ამნაირი დიდტანიანი ნაშრომის გამოსამზეურებლად...

მე მას კარგად ვიცნობდი და ძალიან ვაფასებდი. ჩვენ „თანაფეხბურთელებიც“ ვიყავით უნივერსიტეტის მასწავლებელთა გუნდში (1950-იანი წლების მიწურულსა და 1960-იანის დასაწყისშიძ, რომლის ნახევარს, სხვათა შორის, ისტორიკოსები შეადგენდნენ: კარლო მეშველიანი (კაპიტანიძ, ნოდარ ნაკაშიძე, ჯუმბერ ოდიშელი (სამწუხაროდ, აწ განსვენებულნიძ, ნოდარ ლომოური და ოთარ ჯაფარიძე (საბედნიეროდ, ჯანმრთელად მყოფნიძ. ჯუმბერი, ეს მრავალმხრივი გატაცების კაცი, ფეხბურთის „გიჟიც“ გახლდათ და თავდამსხმელის როლში ისე ლამაზადაც თამაშობდა, როგორც ლამაზად იცხოვრა...

შესანიშნავი წიგნიო, მარტო დაშაქრულ სიტყვად როდი მითქვამს: ვფიქრობ, ჩემთვისაც კი, მხედველობადაქვეითებული ბერიკაცისთვის, ის სამაგიდო გახდება, რომელსაც ჟამიდან ჟამზე მივაკითხავ „ნუგბარ“ საკითხავად...

... მრავალი წლის წინათ ჩვენმა კარგმა პოეტმა, აწ გარდაცვლილმა მიხეილ ქვლივიძემ ერთ-ერთ ლექსში ცხოვრებიდან წასული კოლორიტული პიროვნებებისთვის, მით უფრო, ნაადრევად წასულთათვის, ერთ-ერთ ლექსში საგულისყურო ცნება შემოიღო: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ (გიორგი შავგულიძეს რომ მიუძღვნა, დიდებულ მსახიობსძ.

ჩემი შეხედულებით, ჯუმბერ ოდიშელის შემთხვევაში ეს კატეგორია შეიძლება „განვაზოგადოთ“ კიდევაც: კაცი, რომელიც დააკლდა ყველას (ვინც იცნობდაძ. სამაგიეროდ – აქ თუ ეს სიტყვა შესაფერისია – მისი წიგნი ემატა თაროს.

... აკადემიაში პრეზენტაცია-წარდგენამ კი გულითადობის მშვენიერ ატმოსფეროში და იმ „სცენარით“ ჩაიარა, რომელიც დასაწყისში გაგაცანით...

**თამაზ ეზანოიძე**

გლობუსი

# ვითომ ამ გზით მივალთ ტაძრამდე?

**ერთობ მოსავლიანი გამოდგა საქართველოს ხელისუფლებისთვის მიმდინარე ზაფხული. დასავლურმა დიპლომატიამ ზედიზედ ისეთი ყურადღება გამოიჩინა ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით მივიწყებულ-მიგდებული ქვეყნისადმი, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა კაცი. დიპლომატიური ვოიაჟები ისლანდიის ვულკანის ამოფრქვევას ჰგავს — მერე რა სიტყვებით, რა ქებათა-ქებით. ვინ თქვა, თქვენ ევროპელები არ ხართო, თქვენ ევროპაზე მეტად ევროპული ქვეყანა გაქვთო.**

თავმოწონებულმა მამა-მარჩენალმაც სიტყვისათვის ჯიბეში კი არ დაიწყო ხელის ფათური, არამედ უმალ მიახალა ატროკებულ დასავლელებს — რენესანსი ჩვენში თქვენზე ადრე დაიწყოო; ჩვენ კი არ შევდივართ ევროპაში, არამედ ვბრუნდებითო და ა. შ. საინტერესოა, რას იტყოდნენ ქართველთა ევროპელობით აღტაცებული სტუმრები, გაკვრით მაინც რომ შეევლოთ თვალი ყოფილი „დეზერტირის“ ბაზრის ტერიტორიაზე სტიქიურად განთავსებული ბაზრისთვის, ან თბილისიდან სულ ახლოს, წითელ ხიდამდე მოგზაურობის შემდეგ? მაგრამ რატომ უნდა შეიწუხონ თავი? განა საკმარისი არ არის ფასადური თბილისის ცენტრისათვის თვალის შევლება ან ბათუმის ახალ პიაცაზე სტუმრის პატივსაცემად, შუადღის თაკარა მზისგულზე შავ სმოკინგებში გამოწყობილი კაპელის მოსმენა? ან ის რად ღირს, როდესაც პრეზიდენტი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სასახლეში გამართული ვახშმის შემდეგ ისეთივე ფეიერვერკს მოუწყობს, როგორიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებას მიუძღვნა?

*სააკაშვილის ადგილას ვინმე სხვა გაემგზავრებოდა უკრაინაში, პრეზიდენტ იანუკოვიჩისათვის დაბადების დღის მისალოცად? ან ბელორუსიის „ბატკასთან“ გამართავდა გულახდილ საუბარს? ეს ის ლუკაშენკოა, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი დიქტატორობისთვის ლაფს ასხამდა, ეს ის იანუკოვიჩია, ვის წინააღმდეგაც სულ ახლახან, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, 2000-ზე მეტ „დამკვირვებელს“ აგზავნიდა საარჩევნო პროცესის ჩასაშლელად.*

*უფრო შორს წავიდეთ — ეს ის სარკოზია, ვისაც მკაცრად აკრიტიკებდა და გაზპრომის მიერ მოქრთამვას აბრალებდა. არც არადიპლომატიური გამოთქმების დავიწყება შეიძლება ობამას ადმინისტრაციის მიმართ.*

რაც ვიცით, ვიცით! საუკუნეთა მანძილზე შეძენილი მლიქვნელობის, გადაჭარბებული მასპინძლობის ხელოვნებას მიაწერს ზოგიერთი „სპეციალისტი“ პატარა, სუსტი ერის გადარჩენას, რაც, ჩემი აზრით, არასერიოზულია. აღვირახსნილი მასპინძლობის სენს ვერც კომუნისტებმა უშველეს. სტუმრის გამოჩენა და თავდავიწყებული ცეკვა-თამაში, დიდად შესარგი ჭამა-სმით, ერთი იყო. ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნა მამა-მარჩენალმა — მოსკოვი სტუმრებს მხოლოდ გასართობად და, დროის სატარებლად აგზავნიდა საქართველოშიო, სხვა ფუნქცია ქვეყანას არ ჰქონდაო. **„დამოუკიდებელ“, „დემოკრატიულ“ საქართველოში, როდესაც 50-გრადუსიან სიცხეში, მრავალი საათით, შავ კოსტიუმში გამოწყობილ კაპელას მოედნის შუაგულში დააყენებ მამა-მარჩენალის „ხოშის გასასწორებლად“, ძველზე აუგის თქმა უხერხულია.** თუმცა მას ეს არ აინტერესებს, მან ბრძანა, მორჩილმა ტელეკომპანიებმა აიტეხეს და კიდევ ერთხელ ქოქოლა დააყარეს საბჭოთა კავშირსა და რუსეთს, დიპლომატიური ვოიაჟების პერიოდში მთავარი კრიტიკის ობიექტიც ხომ ის იყო? ისე, როგორც ყოველთვის მას (რუსეთსძ ცოცხლად, მაპატიეთ LIVE-ში ახსენებდნენ, თითქოს აქვე ყოფილიყო, სუფრის თავში, თამადასავით. ასე იცის განქორწინებულთა (გეიქორწინება არ მაქვს მხედველობაშიძ შორით დაგვამ და წვამ, როდესაც ფანჯარას მიჩერებული ცოლი გაქცეული ქმრის მოლოდინით გათანგულ-ნერვებდაგლეჯილი, იხტიბარს არ იტეხს და მეზობელს ქმრის ავკაცობაზე უყვება, ისიც, ხედავს რა ქალის ტანჯვას, ურჩევს შერიგებას.

დიპლომატიური ვოიაჟებით აღტაცებული ხელისუფლება დაბეჯითებით გაიძახის, მალე რუსეთის წართმეულს დავაბრუნებთო. აბა სხვას რას იტყვის ამერიკელი კლინტონის სიტყვების შემდეგ? და არა მარტო ამერიკელის, პოლონელი სიკორსკის, ფრანგი კუშნერის, ევროკავშირელი ეშტონის, სხვების და სხვების შემდეგ. რაც მართალია, რუსეთის მიმართ ბევრი კრიტიკული ითქვა. იყო მოწოდებაც ჯარის გაყვანის თაობაზე. ითქვა ისიც, რომ დასავლეთს ახსოვდა და ახსოვს საქართველო, რომ მისთვის არავის უღალატია და ა. შ. სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ რუსეთზე ზეწოლას, რათა მან შეასრულოს სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება. სასიამოვნო მოსასმენია. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ხელისუფლება სისტემატურად გიმეორებს ამ აუხდენელ ოცნებას. რას ნიშნავს ყოველივე? რა შეიძლება მოჰყვეს ამერიკა-ევროპის ვერბალურ გააქტიურებას? დაითანხმებენ ისინი რუსეთს, გადადგას ერთობ არაპრესტიჟული ნაბიჯი საკუთარი ფურთხის ასალოკად? ცხოვრებაში, მით უმეტეს პოლიტიკურ-დიპლომატიურში, ყველაფერია მოსალოდნელი. და ვიდრე ეს მოხდება (მოხდება?ძ მამა-მარჩენალი და მისი პოზიცია-ოპოზიცია, დიპლომატიური იზოლაციის გარღვევით კმაყოფილნი, იმ დოზით იმტკიცებენ სახელისუფლებო არსებობას, რომ მრავალი წელი დასჭირდება მის ნგრევას.



სააკაშვილმა შეუძლებელი შეძლო. შანტაჟით, არადიპლომატიური ქცევით, ტყუილით, ჩაწყობით, ფულით, საჩუქრებით, უთავმოყვარეობით, აბეზრობით, სხვა უარყოფითი ქცევით მოახერხა მოტეხილი სახელისუფლებო ტოტის გასწორება, რაც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გახდა აუცილებელი. მან პროტოკოლით მიუღებელი, უკადრებელი იკადრა, ჩარაზული კარ-ფანჯარის პირობებში უნიტაზიდან ამოვიდა. **მის ადგილას ვინმე სხვა გაემგზავრებოდა უკრაინაში, პრეზიდენტ იანუკოვიჩისათვის დაბადების დღის მისალოცად? ან ბელორუსიის „ბატკასთან“ გამართავდა გულახდილ საუბარს? ეს ის ლუკაშენკოა, რომელსაც სააკაშვილი და მისი გუნდი დიქტატორობისთვის ლაფს ასხამდა, ეს ის იანუკოვიჩია, ვის წინააღმდეგაც სულ ახლახან, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, 2000-ზე მეტ „დამკვირვებელს“ აგზავნიდა საარჩევნო პროცესის ჩასაშლელად.**

**უფრო შორს წავიდეთ — ეს ის სარკოზია, ვისაც მკაცრად აკრიტიკებდა და გაზპრომის მიერ მოქრთამვას აბრალებდა. არც არადიპლომატიური გამოთქმების დავიწყება შეიძლება ობამას ადმინისტრაციის მიმართ.**

რომელი ერთი გავიხსენო? და ყოველივე ამის შემდეგ საარაკო დიპლომატიური გარღვევა. ამაყი დიპლომატიაც ამას ჰქვია, მაგრამ რამდენად ამაყია, ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია. დასავლელთა კუდის ქიცინმა უგანდელი დიქტატორის იდი ამინის „დახვეწილი“ პროტოკოლი გამახსენა. **ორმეტრიან, მსხვილ დიქტატორს სხვადასხვა სახის დღესასწაულების დროს უყვარდა ფართო, ოთხსახელურიანი საკაცით დამსწრე საზოგადოების ჩამოვლა, უფრო ზუსტად, ჩამოტარება. საკაცეში შებმულ მაღალჩინოსნებს ხელით მიჰყავდათ საკაცეზე წამომჯდარი დიქტატორი. საკაცეში შებმულთა შორის კი არც მეტი, არც ნაკლები, უგანდაში აკრედიტებული უცხო ქვეყნების, მათ შორის ევროპელი ელჩებიც იყვნენ. დიქტატორის მძიმე წონის მიუხედავად მათი უპირველესი მიზანი იყო, კმაყოფილების გამომხატველი პოზის მიღება.**

დიპლომატიის ისტორიაში არაერთი სამარცხვინო ფაქტი მომხდარა. არც დღევანდელობაა განსხვავებული. რით არის უკეთესი ფეიერვერკი სააკლენდში ან ჩამოსულთა მიერ ადგილობრივი არჩევნების ხოტბა?

*არაფერი გამოდის დიალოგიდან, წასულები შეუძლებლად მიიჩნევენ საქართველოსთან ერთად ცხოვრებასო, იტყვიან ჩვენი ევროპელი „მფარველები“, ისე, როგორც ამას ამბობდნენ კოსოვოსთან მიმართებაში. შეგახსენებთ — კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის ბოძების მთავარი არგუმენტი იყო — ისინი სერბებთან ერთად ვერ იცხოვრებენო.*

სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა ე. წ. ოპოზიციის შესაქმნელად, მისი ლეგიტიმაცია-გაპიარებისთვის. და შეიქმნა ოპოზიცია ალასანიას, თარგამაძის, თორთლაძის, დავითაიას, ბაღათურიას, სხვათა და სხვათა სახით. **და დაიწყო ქართულ პოლიტიკაში ახალი ხანა გაყიდული ოპოზიციონერობისა, პოლიტიკური თვალთმაქცობისა და მოჩვენეთობისა. ამ ე. წ. ოპოზიციონერთა წყალობით გალეგიტიმურდა ყალბი არჩევნები, რითაც მყარი ფუნდამენტი ჩაეყარა ნაცმოძრაობის მრავალწლიან ბატონობას.** „ოპოზიციონერთა“ ხმას საკუთარიც მიუმატეს ხელისუფალთა უკანალის მლოკავმა ექსპერტობამ, სახელისუფლებო ინტელიგენციამ, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა. ხალხი? ხალხი „აფსაიდშია“. მას აღარც არჩევნები აინტერესებს, აღარც სარკოზ-კუშნერები და მათზე დამატებული ეშტონი, აღარც დაკარგული ტერიტორიები, დაკარგული სახე და ეროვნულობა. **მას საკუთარი კუჭი აწუხებს — ერთობ დიდი პრობლემა დემოკრატიულ და მძლავრ ეკონომიკის სააკლენდში.**

რუსმა, ისე როგორც ყოველთვის ბოლო წლების განმავლობაში, წააგო ინფორმაციულ ომში, ერთობ მნიშვნელოვანსა და საჭიროში 21-ე საუკუნეში. მისმა არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ, დასავლეთისათვის კუდის ქიცინმა გამოიყვანა სააკაშვილი პოლიტიკური იზოლაციიდან. დაიყოლიებენ მას სხვა დათმობაზე, მაგალითად ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ? ვინ იცის. თუმცა პუტინის ნათქვამი — ლობე-ყორეს მოდებას სჯობს აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებაო, რაღაცას ნიშნავს. ჩვენ კი დაველაპარაკებით, მაგრამ რუსები ფარულად დატუქსავენ მათო, ამბობენ „საქმეში ჩახედული“ ქართველები. მეორენი გაიძახიან, მათთან ლაპარაკი ზედმეტია, მაინც არაფერი გამოვაო და გულში ოცნებობენ ისევ მოსკოვის დახმარებაზე, ისეთზე, რომელიც აფხაზეთსა და ოსეთს დააბრუნებს საქართველოს ჭერქვეშ. საბჭოური მენტალიტეტი ღრმადაა გამჯდარი ვითომ გაევროპელებულ ახალ თაობაში.

*„დამოუკიდებელ“, „დემოკრატიულ“ საქართველოში, როდესაც 50-გრადუსიან სიცხეში, მრავალი საათით, შავ კოსტიუმში გამოწყობილ კაპელას მოედნის შუაგულში დააყენებ მამა-მარჩენალის „ხოშის გასასწორებლად“, ძველზე აუგის თქმა უხერხულია.*

*ორმეტრიან, მსხვილ დიქტატორს სხვადასხვა სახის დღესასწაულების დროს უყვარდა ფართო, ოთხსახელურიანი საკაცით დამსწრე საზოგადოების ჩამოვლა, უფრო ზუსტად, ჩამოტარება. საკაცეში შებმულ მაღალჩინოსნებს ხელით მიჰყავდათ საკაცეზე წამომჯდარი დიქტატორი. საკაცეში შებმულთა შორის კი არც მეტი, არც ნაკლები, უგანდაში აკრედიტებული უცხო ქვეყნების, მათ შორის ევროპელი ელჩებიც იყვნენ. დიქტატორის მძიმე წონის მიუხედავად, მათი უპირველესი მიზანი იყო, კმაყოფილების გამომხატველი პოზის მიღება.*

ცნობისათვის — აფხაზები და ოსები ჯიუტები არიან და არ მოდიან დიალოგზეო, რბილად რომ ვთქვათ, ტყუილია. ცხადია, ისინი, ისევე როგორც მათ ადგილზე მყოფი ყველა სხვა, შაქარივით არ არიან, მაგრამ მათთან მოლაპარაკებაც შეიძლება და საერთო საქმეების კეთებაც. ამას საკუთარი გამოცდილება მკარნახობს. ასე იყო 2008 წლის აგვისტომდე. სამწუხაროდ, მას შემდეგ ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა ქართველთა უთაობისა და ჭარბი ამბიციების შედეგად. დაისაჯა ვინმე ჩადენილი დანაშაულისთვის 1992 და 2008 წლებში? არც არავინ. არც არავის მიმართ თქმულა საყვედური. ასეთის შემდეგ მოიხიბლებიან განდევილნი?

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწოდებით იყო გაჯღენთილი ყველა დასავლელი სტუმრის ვიზიტი საქართველოში. მათ მოუწოდეს საქართველოს პრეზიდენტს კრემლთან მოლაპარაკებისკენ. რუსეთი კი ჯიუტად აცხადებს, დამნაშავე სააკაშვილთან არ დაველაპარაკებითო, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ ხელს არ შეუშლის თბილის-სოხუმ-ცხინვალის მოლაპარაკებას. შეძლებს არაპროფესიონალი ბიჭბუჭებით დაკომპლექტებული ქართული პოლიტიკა-დიპლომატია 20 წლის განმავლობაში დაგროვილი მგრძნობიარე საკითხებზე ლაპარაკს? ჩემს ეჭვს აძლიერებს დამოუკიდებლობის პერიოდში გამოვლენილი აბდალიზმი. წინასწარ შეიძლება ითქვას მსგავსი დიალოგის შედეგებზე, მეტადრე უშედეგობაზე, რამაც სამარადისოდ შეიძლება დაუსვას წერტილი განდევილთა დაბრუნების თუნდაც მბჟუტავ იმედს.

**არაფერი გამოდის დიალოგიდან, წასულები შეუძლებლად მიიჩნევენ საქართველოსთან ერთად ცხოვრებასო, იტყვიან ჩვენი ევროპელი „მფარველები“, ისე, როგორც ამას ამბობდნენ კოსოვოსთან მიმართებაში. შეგახსენებთ — კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის ბოძების მთავარი არგუმენტი იყო — ისინი სერბებთან ერთად ვერ იცხოვრებენო.** იქნებ დასავლელთა მოჭარბებული ვიზიტები კოსოვოს მსგავსი პროცესის დასაწყისია? იქნებ ამგვარ შეთანხმება მოხდა ობამა-მედვედევის შეხვედრის დროს? იქნებ ამიტომაც იყო რუსული მხარე ნაკლებ კრიტიკული კლინტონის გამაღიზიანებელ განცხადებებზე? იქნებ ვაშინგტონის განკარგულებით მოხდა საქართველოში დიპლომატიური ვარსკვლავთცვენა? რაღაც წარმოუდგენლად დაემთხვა კლინტონისა და სხვათა ვიზიტები ერთმანეთს. გაუმჭვირვალე, არადემოკრატიული საერთაშორისო ცხოვრებიდან გამომდინარე, იძულებული ვართ, ცუდიც და კარგიც ვივარაუდოთ, ოღონდ ერთია, ამ ვარაუდში ბევრია დასაფიქრებელი, ვინაიდან არ ჩანს ქართველთა ხსნის გზა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ჭადრაკი

# მამაკაცების ტოლ-სწორად



**საბერძნეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ხუთი წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. საერთოდ კი, პირველობისთვის სხვადასხვა ქვეყნის 260 ქალ-ვაჟი იბრძოდა, მათ შორის – 28 დიდოსტატი.** შესანიშნავად ითამაშა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა და დიდოსტატ ვაჟებთან ერთად პირველ-მეექვსე ადგილები გაინაწილა, კოეფიციენტით კი მეოთხე ადგილი ერგო. მას რუმინელმა მირჩა პარლიგრასმა, სომეხმა გაბრიელ სარგისიანმა და რუსმა სერგეი ვოლკოვმა გაუსწრეს.

დანარჩენ ქართველთაგან ნინო ბაციაშვილმა 6, ხოლო მალხაზ სულაშვილმა, ალა ვახანიამ და ანა გავაშელმა 5-5 ქულით დაამთავრეს ასპარეზობა.

# პირველი პრიზი – დავით გურგენიძეს



**ჰენრიხ კასპარიანი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებასაც აქ ეზიარა. დედაქალაქის მრავალგზის ჩემპიონი 1964 წელს საცხოვრებლად ერევანში გადავიდა. საერთაშორისო ოსტატმა საჭადრაკო ეტიუდების შედგენაშიც ისახელა თავი – 1972 წელს დიდოსტატი გახდა.**

წლეულს ჰენრიხ კასპარიანს 100 წელი შეუსრულდებოდა. იუბილესთან დაკავშირებით, ერევანში მრავალი საინტერესო ღონისძიება მოეწყო, მათ შორის კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომელსაც დიდოსტატი ვლადიმერ აკოფიანი თავმჯდომარეობდა. 53 ნაწარმოებებს შორის პირველი პრიზი საჭადრაკო კომპოზიციებში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, დიდოსტატ დავით გურგენიძის ეტიუდს ერგო.

**გიორგი გაგუა**

ჩოგბურთი

# მოგებაც, წაგებაც



**მოსკოვში 16 წლის ჩოგბურთელთა ევროპის პირველობაში 4 ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობს. ერთეულთა თანრიგში ნიკა დოლიძემ იყოჩაღა.** პირველ წრეში მან ბერძენი მარკოს კალოველონისი დაამარცხა – 6:4, 6:3. სტარტზე, ასევე, წარმატებას მიაღწიეს წყვილებში ანი გოგვაძემ და ბარბარე ერისთავმა. მათ ნორვეგიელი ჰედა ოლეგაარდისა და კვიპროსელი იონა-ნენა სავას ინტერნაციონალური დუეტი ჩამოიშორეს გზიდან – 3:6, 6:2, 10:5. სამწუხაროდ, ერთეულთა თანრიგში ორივე მათგანი დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, ისევე, როგორც მიხეილ ხმიადაშვილი, რომელმაც რუს მაქსიმ ლუნკინთან წააგო – 4:6, 6:7.

ჭორი თუ მართალი?

# ხაბულიანი მიდის?

**ბოლო დროს ხმა დაირხა, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი პოსტიდან გადადგა, უკვე განცხადებაც დაწერილი აქვსო. მასმედიის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციებში ხაბულიანი ამ ფაქტს არ ადასტურებს, უბრალოდ, იგი ამჟამად შვებულებაშია და დროებით უცხოეთში აპირებს წასვლას. ფედერაციის პრეზიდენტთან პირადად დაკავშირება კი არ ხერხდება.**



რას ფიქრობენ ხაბულიანის წასვლასთან დაკავშირებით ზემდგომ ორგანოებში?

აქვე გთავაზობთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ნამგალაურის კომენტარს:

**ძიუდოს ფედერაციაში, – თქვა მან, – არავითარი ცვლილება არ მომხდარა და სექტემბერში გასამართავი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ხელმძღვანელ რგოლში სიახლეები არცაა მოსალოდნელი. დღეისთვის მთავარი ისაა, რომ ეროვნულმა ნაკრებმა მოსამზადებელი პერიოდი წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით გაიაროს და წლის ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირს სპორტსმენები საუკეთესო ფორმაში შეხვდნენ.**

როგორც ამბობენ, ალდგომა და ხვალეო!

**ლექსო ცინცაძე**

წყალხტომა

# მეოთხე ადგილს დასჯერდნენ

**მადრიდში დამთავრდა საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (ფინაძ გრან-პრის გათამაშება წყალხტომაში. საასპარეზოდ ხუთივე კონტინენტის 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.** სახელოვან სპორტსმენებთან პაექრობაში თავი გამოიჩინეს თბილისელებმა – ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა, რომლებიც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში 381,99 ქულით მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ილია კვაშა და ალექსანდრ პრიგოროვი (უკრაინა, 430,53ქ, 2. ლინჯონგ ლი და იორგ ვენი (ჩინეთი, 408,60ქ, 3. დემიენ გელი და მეთიუ როსეტი (საფრანგეთი, 389,55 ქულაძ.



რეპლიკა

**საზოგადოებრივმა არხმა ამას წინათ ქართველ მაყურებელს საშუალება მისცა, ტელევიზიით ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის 64-ივე შეხვედრა ენახა. მადლობა მათ, ვინც ეს დიდებული საქმე გააკეთა. ამავე დროს, რამდენიმე შენიშვნა და სურვილი გვაქვს. სამწუხაროდ, ვერც ერთი დიქტორი ვერ დაიკვეხნის დიქციითა და მეტყველებით. ისინი ქართული ენის სიწმინდეშიც საკმაოდ მოიკოჭლებენ. გადაცემები ისე უნიათოდ და მომაბეზრებლად მიჰყავდათ, რომ ბევრი გულშემატკივარი ტელევიზორის ხმას ბოლომდე ახშობდა და ისე უყურებდა ფეხბურთს, რაც ამ გადაცემების ხარისხისა და დონის მაჩვენებელია.**

## მრავალი წვეთი კუპრით გაფუჭებული კასრი თაფლი

**კოტე მახარაძისა და ეროსი მანჯგალაძის მონატრება**

ქართული ენის სიწმინდის დაცვაში ქართულ ტელევიზიას მთავარი როლის შესრულება შეუძლია და უნდა გააკეთოს კიდეც. თავის დროზე ჩვენ ბევრი კარგად მოქართულე დიქტორი გვყავდა. მათ შორის ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, ნუგზარ ჯულელი და თემურ ჯაფარიძე უნდა გამოვარჩიოთ.

ახლა კი რეპორტაჟებში მოსმენილ რამდენიმე „მარგალიტს" შემოგთავაზებთ:

**„ფეხბურთი ისეთი სპორტია, არ ნიშნავს მეტოქეს ინვალიდობით დაემუქრო". „აურაცხელი რაოდენობის ფეხბურთელი ჰყავდა შვეიცარიელებს საჯარიმოში"; „არ გავიდა ეს პასი". „კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი". „მოატყუა სანჩესმა თავისი ვიზავი". „ყველაფერი მზად არის მატჩის დასაწყისად". „კანავაროს შეცდომის შედეგად მოხდა გოლი". „ასეთი დისტანციიდან ბურთის დაცილება რეკომენდირებული არ არის"** და მრავალი სხვა.

წინათ ფეხბურთის მოყვარულებს რუსულად „ბალელშიკებს" უწოდებდნენ, მაგრამ ქართულ მეტყველებაში ვერ დამკვიდრდა. არც რადიო-ტელევიზიით მსმენია არასდროს. ქართულად ამბობენ: გულშემატკივარი, მოყვარული, ქომაგი. ვითომ „ფანი" სჯობს რომელიმე მათგანს? მგონი, ეს უცხო ტერმინი ტელევიზიამ შემოიტანა. არადა, პირიქით უნდა ხდებოდეს – ტელევიზიამ მშობლიური ენის სიწმინდე უნდა დაიცვას...

სანატრელი გაგვიხდა კოტე მახარაძისა და ეროსი მანჯგალაძის დარბაისლური, ხავერდოვანი ხმა, მათი გამართული ქართულით გადმოცემული რადიო თუ ტელერეპორტაჟები.

**დურმიშხან ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## მოურინიოს შამანების იმედი აქვს

**სამეფო კლუბის „რეალის" ახალი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ნელ-ნელა ემზადება ახალ ადგილზე სამუშაოდ. ახლახან ის ოჯახთან ერთად კენიაში ისვენებდა. იქ შეხვდა ადგილობრივ შამანებს და დახმარება სთხოვა თავისი გეგმების განხორციელებაში.**

„მოურინიოს არ უნდოდა, ეს პრესას შეეტყო, რადგან შუამავლის მეშვეობით შევთანხმდით საიდუმლო ადგილას შეხვედრაზე, – განაცხადა ერთ-ერთმა ჯადოქარმა. – ამავე დროს მან გვთხოვა, რომ იმათ, ვინც მასთან „რეალში" უნდა იმუშაონ, მისთვის პატივი ეცათ".

როგორც იტყობინებიან, ახალმა მწვრთნელმა „რეალთან" მუშაობა უკვე დაიწყო.




## მსაჯს ახრჩობდა

**ჩილეს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის მატჩზე „დეპორტეს კონსეპსიონსა" და „რეინჯერს" შორის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა სცადა შეხვედრის მთავარი მსაჯის მარსელო მირანდუს დახრჩობა.**

ინციდენტი მოხდა 77-ე წუთზე, როდესაც მსაჯმა პარაგვაელ ხოსე პედროსს მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა და პენალტი დანიშნა, ფეხბურთელი არ დაეთანხმა და მისკენ გაიწია. მსაჯს კოლეგები მიეშველნენ, ფეხბურთელი კი პოლიციამ დააპატიმრა.




ფეხბურთის ისტორიამ იცის პირდაპირ მინდორზე მსაჯების ხელყოფის უამრავი ასეთი შემთხვევა. 60-იან თუ 70-იან წლებში ადგილობრივი გუნდის დამარცხების გამო მისმა გულშემატკივრებმა მთავარი მსაჯი მდინარეში გადააგდეს.

## სექსუალური მეკარე

**ბრაზილიური კლუბის „ინტერნასიონალის" მეკარე ლიზა ანდრიოლი მარტო ბურთებს არ იგერიებს, ის დაჯილდოებულია ფოტომოდელის გარეგნობით, რასაც მუდამ ამზეურებს ჟურნალების ფურცლებზე.**



უკვე 13 წელია, რაც ის ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ მხოლოდ ახლა გადაწყვიტა ევროპაში გადასვლა, სადაც მას შესთავაზეს ძალზე ხელსაყრელი კონტრაქტი და ქალიშვილიც დაითანხმეს.

ამან დიდად როდი გაახარა ბრაზილიელი მამაკაცები. საქმე ისაა, რომ სექსუალური ლიზა მათ დროდადრო ახარებდა ძალზე ღია ფოტოსესიებით, ახლა კი ალბათ მისი გარეგნობით ევროპელებიც დაინტერესდებიან.

◉ კრიმინალი

# სტრასბურგში წერონ და იკითხონ(?!)



**ქართული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ჩვენი მოქალაქეები ევროპის სასამართლოს მიმართავენ სტრასბურგში. მაგრამ იმის გამო, რომ ევროპული სამართლის ამ უმაღლეს ინსტანციაში უამრავი საქმეა განსახილველად შეტანილი, გარჩევები ჭიანურდება. იურისტებისა და ადვოკატების განცხადებით, საქმეთა დიდ რაოდენობას აპილანტები (მომჩივანები) იგებენ და ისინი უკან უბრუნდებათ განაჩენის გამომტანთ შემდგომი განხილვისათვის, მაგრამ...**

### რა ევალებათ ჩვენს სასამართლოებს?

**როგორც ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე აცხადებს, სამოქალაქო კოდექსში არის ნორმა, რომლის მიხედვითაც, თუკი არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ორმხრივად ხელმოწერილი კონვენციის ოქმი დაარღვია, ეს შეიძლება საქმის წარმოების განახლების საფუძველი გახდეს.**

მართალია, ბოლო დრომდე ჩვენი სასამართლოები არცთუ დიდი ხალისით ლებულობდნენ სტრასბურგიდან გამოგზავნილ საქმეებს კვლავწარმოებაში და ასწორებდნენ მითითებულ ლაფსუსს, მაგრამ საქმე ამას იქით, ადმინისტრაციულ სასამართლოში აღარ მიდიოდა (ამ შემთხვევაში განიხილებოდა სოციალური დავები, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლება და ა. შ. ძირითადად ისეთი დავები, როდესაც იურიდიული პირი ედავებოდა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებსძ. სასამართლოებს კი გამოჰქონდათ გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ სახელმწიფო ორგანოები აღსრულებას ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს, იმიზეზებდნენ რა სხვადასხვა გარემოებას.

უდიდესი წინააღმდეგობების მიუხედავად, მოქალაქე თავისი საქმის განხილვის პირველ ეტაპზე კმაყოფილი რჩებოდა – იგი გაამართლეს, მაგრამ...

### ქართული სამართალი – საერთაშორისოზე მაღლა(?!)

**როგორც ჩანს, საკუთარ მოქალაქეებთან ჯიბის მოსამართლეების წყალობით წაგებულმა და უკან მობრუნებულმა არაერთმა საქმემ რეფორმირებული სასამართლოს მესვეურთ მოთმინების ფიალა აუვსო.** გადაწყდა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის ძირფესვიანად შეცვლა. მისი არსი ასეთია: **თუკი სტრასბურგის სასამართლო საქართველოს მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (ადმინისტრაციული სამართალიძ უკანონოდ ცნობს, ეს არ ჩაითვლება საკმარის საფუძვლად იმისთვის, რომ ქართულმა მხარემ თავისი გადაწყვეტილება გადასინჯოს.**

არა აქვს მნიშვნელობა, რას დაწერს სტრასბურგი. ქართული მართლმსაჯულება მასზე მაღლა დგას! სტრასბურგში წერონ და იკითხონ, ჩვენმა „წისქვილმა“ კი ფქვას!

# ახალაიას ყოფილ ფავორიტს 30-წლიანი „დასვენება“ ელის?

**ხელისუფლება ნაწილობრივ მართალს ამბობს, ჩვენში გამომძალველები და მექრთამეები არ არიანო, მაგრამ ივიწყებს, რომ თანამდებობის პირთა უკან დგანან მათი მოადგილეები, ერთგული თანამშრომლები, ახლობელი პირები და ა. შ., რომლებიც მშვენივრად იყენებენ ამ უპირატესობას „მამა-მარჩენლის“ დაწინაურების შემთხვევაში კი იერარქიულ საფეხურზე რაღაც წინსვლაც აქვთ გარანტირებული. დღეს ერთ ასეთ „დაწინაურებულზე“ მოგახსენებთ.**

ჯუმბერ ზაქარაძე წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ბაჩო ახალაიას დაცვის წევრი იყო. მას შრომა დაუფასდა და ერთგულებისათვის ბათუმის №7 საპყრობილის უფროსად გადაიყვანეს.

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ახალგამომცხვარმა უფროსმა „საქმიანი“ კონტაქტების დაჭერა პირდაპირ პატიმრებთან დაიწყო. იგი ყოფილ პოლიციელ (ტუსაღძ თემურ ტაკიძეს დაუკავშირდა და მოითხოვა, რომ მას პატიმრებისგან ყოველთვიური ხარკი აეკრიფა. თანხის სიზუსტესა და ჩაბარების ვადებზე კონტროლი ციხის უფროსმა მოადგილეებს, შველიძესა და ვაშაკიძეს დაავალა.



როგორც წინასწარი მოკვლევით ირკვევა, ტაკიძე წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, მან ზაქარაძის დავალებით გამოსძალა პატიმარს, ე. წ. ხოფის ბაზრობის ყოფილ დირექტორს ჯონი ზოიძეს 20 ათასი დოლარი, გენადი სანიკიძეს – 15 ათასი, ზურაბ ბერიძესა და ალიკ დავითაძეს – 10-10 ათასი, ზაზა დუმბაძეს – 6 ათასი, ანზორ ქათამაძეს – 4 ათასი დოლარი. გამოძიება ვარაუდობს, რომ დაზარალებულთა რაოდენობა გაიზრდება.

როგორც ირკვევა, ზაქარაძე და მისი მოადგილეები შეწერილის ნატურის სახით მიღებაზეც ყაბულს იყვნენ. ზაქარაძის სიმამრის ოჯახში საპყრობილის უფროსის მითითებით მიიტანეს 10 კუბური მეტრი ხის მასალა, უფროსის ცოლის სახლში ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში კი – დიდძალი ხრეში, ყოველივე ეს ტუსაღ ენვერ ჭილლაძეს შეაწერეს. ამას გარდა ზაქარაძეს სხვადასხვა პატიმრისთვის სხვადასხვა გზით გამოძალული აქვს ვიდეო და აუდიო ტექნიკა, ოქრო, ძვირფასეულობა და 6 ცალი ხბოც.

მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაია სისტემიდან წავიდა, ზაქარაძემაც გადაწყვიტა წასვლა. თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კი სულ ცოტა ხანში, ყოფილ მოადგილეებთან ერთად დააკავეს.

**თუ ყველა ბრალდება დადასტურდა, 33 წლის ციხის ყოფილ უფროსს მისთვის ჩვეულ შენობასა და ატმოსფეროში დაბრუნება 30 წლით მოუწევს.**

**ზაზა ბილიხოძე**

◉ დაიჯესტი

## ყველაზე საყვარელი



**ბრიტანელებმა თავიანთი ყველაზე საყვარელი როკ-კომპოზიციები დაასახელეს. ციფრული რადიოსადგურის „ებსოლუტ კლასიკ როკის“ გამოკითხვის შედეგებით, ხმათა უმრავლესობა სიმღერამ „სთარვეი თუ ჰეივენმა“ მიიღო.** კომპოზიცია ჯერ კიდევ 1971 წელს ჯგუფმა „ლედ ძეპელინმა“ ჩაწერა და ამის შემდეგ მუსიკოსები მას ყველა კონცერტზე ასრულებდნენ.

## შეიძლება თქვენი გაცნობა?

**უცნობ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრული კონტაქტის დამყარების ინიციატივა ასიდან ოთხმოცდათხუთმეტ შემთხვევაში მამაკაცს ეკუთვნის, ქალს კი მხოლოდ ოდნავ გაკეკლუცება და მომხიბლავად გაღიმება მართებს. – ეს ქვეყნიერებისთვის ძველი მითი ნამსხვრევებად აქცია ინდიანის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და თავის ტვინის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების თანამშრომელმა კორინ ფარისმა.**

მკვლევარმა დაადგინა, რომ მამაკაცებს ბევრი არაფერი ესმით ქალბატონების ემოციებისა, რომლებიც სუსტი სქესის წარმომადგენელთა აზრით მათ, რომ იტყვიან, „სახეზე აწერიათ“. როგორც შედეგი, მამაკაცები გამომწვევ და, უბრალოდ, თავაზიან ღიმილებს ერთმანეთში „ურევენ“. ისე, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ხშირად პირიქითაც ხდება.



ამავე დროს, ქალები მშვენივრად ერკვევიან მამაკაცთა სახის გამომეტყველებებში. ამიტომ, როცა მამაკაცი უცნობ ქალს „იმნაირი“ განზრახვით დაელაპარაკება, იგი უმალვე ხვდება ამას. მკვლევარმა დაადგინა, რომ ორივე სქესს პირდაპირობა ურჩევნია, თუმცა ქალებს უფრო მოსწონთ, როცა მათ აგრძნობინებენ, რომ საერთო ინტერესები აკავშირებთ. ასევე აღმოჩნდა, რომ გაცვეთილი ფრაზები ამინდის შესახებ ძველებურად „ჭრის“. აღნიშნავენ იმასაც, რომ გამოკვლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა, სადაც სქესთა შორის პირველი კონტაქტები ევროპაში მიღებულისგან რამდენადმე განსხვავებულია.

## ფოტოხელოვანის დაფასება



**ტაციაობა იყო XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფოტოხელოვნის ირვინგ პენის ნამუშევართა აუქციონზე.** „კრისტის“ სახლის მიერ გამართულ ვაჭრობაზე ფოტოგრაფის 67 ნამუშევარი გამოიტანეს კერძო კოლექციებიდან. გაყიდულ ნამუშევართა მთლიანმა თანხამ სასტარტო მაჩვენებელს სამჯერ გადააჭარბა და 3,85 მილიონი დოლარი შეადგინა. აუქციონის ყველაზე ძვირადღირებული ლოტი გახდა 1972 წელს გადაღებული ფოტოსურათი „Guedras“, რომელიც 314,5 ათას დოლარად გაიყიდა.

## როცა საზღვარი იშლება...

**ჰელოუინი – უძველესი წარმართული დღესასწაულია, რომლის აღნიშვნა ძველმა კელტებმა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაიწყეს.** 31 ოქტომბრის ღამეს, როცა 1 ნოემბერი დგებოდა, ისინი ზაფხულიდან ზამთარში გადასვლას აღნიშნავდნენ. კელტური გადმოცემებით სწორედ ამ დროს იხსნებოდა საზღვარი ცოცხლებისა და გარდაცვლილების სამყაროებს შორის.

## სულ „რაღაც“ 175 ათასი...

**რუსეთის კულტურის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროს ქვეყნის მუზეუმების შემოწმების შედეგების ანგარიში წარუდგინა.** მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საცავებიდან დაკარგულია ექსპონატთა მხოლოდ „უმნიშვნელო“ რაოდენობა – 0,25 პროცენტი, ანუ სულ რაღაც 175 ათასი მხატვრული ნამუ-



შევარი. მინისტრის თქმით, „ესენია მეორეხარისხოვანი სამუზეუმო ნივთები, ნახატები და ქანდაკებები, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ ფასეულობას არ წარმოადგენენ“.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

---

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

**მერი მესხიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**შპს საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ სამძიმარს უცხადებს ამავე ინსტიტუტის თელავის ტერიტორიული საგზაო ლაბორატორიის დირექტორს ლევან დიასამიძეს დედის**

**ივლიტა იოსების ასული ლეგაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა 22 VII, 15 სთ. ქ. თელავი, კახი ასათიანის ქ. №8.**

---

**შვილები მაია და ვასილ კუხიანიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ალიონა ვასილის ასული დარახველიძე**

**პროფესიით კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი და მრავალი ქართული ფილმის რედაქტორი. ადამიანი, რომელიც სავსე იყო სიკეთითა და სიყვარულით, მუდამ ხალისიანი და მომღიმარი, რომელიც ყველას უზომოდ უყვარდა. ერთი გვაიმედებს, იქიდან ილოცებს ჩვენთვის.**

---

**ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ობსერვატორიის დირექტორს ვასილ კუხიანიძეს დედის, ქართული ფილმის რედაქტორის**

**ალიონა დარახველიძის**

**გარდაცვალების გამო. ღმერთს ებარებოდეს და ნათელში ამყოფოს მისი სული.**

ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისძ 04; 74-86-27, 74-89-04 (საავარიოძ;
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩეროძ.
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზიძ; 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.

## ყველა ზარი ხელსაწყოსაცავ

17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახურიძ; 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტიძ.
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზიძ; 43-81-78 (კანცელარიაძ.
25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღებიძ.
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზიძ.
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაციაძ; 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანაძ.
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილებაძ.
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარიაძ; 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახურიძ.
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურაძ.
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგეძ.
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ანეკდოტები

მიხო ძმაკაცებში ტრაბახობს, გერმანიაში რომ ვიყავი, ორ კვირაში 10 ათასი მარკა ვიშოვეო.
– მერე რამ ჩემ ფეხებად გინდოდა ამდენი მარკა, ჯო, მაგდენი წერილი განა ვის უნდა გაუგზავნო? – უკვირს მიტუას.

* * *

– ბიჭიკია, ხომ კარგად ჩაიარა დასაფლავებამ?
– რაღა კარგად, სიმონ, ისეთი ვიწრო კიბე და პადიეზდი იყო, მიცვალებული პადრუჩკით ჩამოასვენეს.



* * *

ავტოინსპექტორმა მიხომ წესრიგის დამრღვევი მანქანა გააჩერა და რაკი საჭესთან თავისი ყოფილი მასწავლებელი შენიშნა, – ახლა გაჩვენებ სეირსო, – ჩაილაპარაკა გულში.
– ახლა თქვენ როგორ დაგაჯარიმებთ, ამიტომ ამოიღეთ კალამი და ფურცელი და ასჯერ დაწერეთ: „აწი არასოდეს არ დავარღვევ მოძრაობის წესებს“.

* * *

– მიხო, ჭამის წინ ლოცულობ?
– არ მჭირდება, ჩემი ცოლი სუფთად და გემრიელად ამზადებს.

დღის კალენდარი

22 ივლისი

ხსენება მღვდელმოწამეთა: ბაგრატისა – ტავრომენელ ეპისკოპოსისა (Iძ და კვირილესი – ჰორტინელ ეპისკოპოსისა (III-IVძ; ღირსთა მოწამეთა: პატერმოთესი და კოპრესი და მოწამე ალექსანდრესი (IVძ. წმიდა თეოდორესი – ედესელი ეპისკოპოსისა (IXძ.



ამოდის 04.45
ჩადის 19.29



ამოდის 16.56
ჩადის 01.05

## დაიბადნენ:

**1596 – მიხაილ რომანოვი,** რუსეთის რომანოვების დინასტიის პირველი მეფე. გარდაიცვალა 1645 წელს.
**1878 – იანუშ კორჩაკი,** პოლონელი მწერალი, პედაგოგი და ექიმი. გარდაიცვალა 1942 წელს.
**1883 – ბენიტო მუსოლინი,** იტალიის ფაშისტი დიქტატორი. სიკვდილით დასაჯეს 1945 წელს.
**1937 – თამარ გაბარაშვილი,** მუსიკოსი, კონსერვატორიის პროფესორი.

## გარდაიცვალნენ:

**1796 – დავით ორბელიანი,** ერეკლე მეორის სიძე, მეწინავე სადროშოს სარდალი.
**1802 – მარია ბიჩეტი,** ფრანგი ანატომი.
**1826 – ჯუზეპე პიაცი,** იტალიელი ასტრონომი, აღმოაჩინა მცირე პლანეტა ცერერა.

## მოვლენები:

**1246 წელი** – პირველმა ევროპელმა იტალიელმა მოგზაურმა, 65 წლის ფრანგმა ბერმა ჯოვანი დე პლანო კარპინიმ მიაღწია მონღოლეთის იმპერიის დედაქალაქს.
**1983 წელი** – ავსტრალიელმა დიკ სმიტმა დაასრულა მსოფლიოს გარშემო პირველი ფრენა აეროსტატით.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აზერბაიჯანი** – ჟურნალისტიკის დღე.
**სვაზილენდი** – საზოგადოების დღე.

მედიანიუსი

ინფორმაცია

## ვინ ტყუის, ცხვრის პატრონი, გამგეობა თუ... მგელი?

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის მცხოვრებლები მგლებისგან დაცვას ითხოვენ. როგორც სოფლის მკვიდრმა ეკა წიკლაურმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობა, შებინდებული იყო, როცა მგლები მის ეზოში შევარდნენ და 6 ცხვარი შეჭამეს, 2 კი დაგლიჯეს.
დედოფლისწყაროს გამგეობაში კი განაცხადეს, რომ რაიონში მტაცებლების მიერ პირუტყვზე ან ადამიანებზე თავდასხმების კუთხით საგანგაშო მდგომარეობა არ არის.

ჯი-ეიჩ-ენი

მკითხველთა საყურადღებოდ!

**თელასის მიერ ელექტროენერგიის ცუდად მომარაგების გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.**

„სრ“ რედაქცია

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.